შპს „ჯორჯიან ქარდბოარდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ჯორჯიან ქარდბოარდი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
სარჩევი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 1

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 6
2. მომზადების საფუძველი 6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 9
5. შემოსავალი რეალიზაციიდან 10
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 10
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 10
8. საპროცენტო ხარჯი 10
9. მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან 11
10. ძირითადი საშუალებები 12
11. ფული და ფულის ეკვივალენტები 13
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 13
13. მარაგები 13
14. მიღებული სესხები 13
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 13
16. საგადასახადო ვალდებულებები 14

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023 (არააუდიტირებული)	2022 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	7,193,981	9,574,412
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(4,936,984)	(7,656,436)
საერთო მოგება		**2,256,997**	**1,917,976**
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(103,003)	(1,464,276)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,634,673)	(642,701)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(66,841)	176,994
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**452,480**	**(12,007)**
საპროცენტო შემოსავალი		100,277	-
საპროცენტო ხარჯი	8	(487,570)	(447,431)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(218,906)	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	9	(2,648)	226,567
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(156,367)**	**(232,871)**
მოგების გადასახადი		(26,504)	(48,819)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**(182,871)**	**(281,690)**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 01 ოქტომბერს:

205282816

სტეფანე თუმანიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

4-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	2,558,966	2,836,197
არამატერიალური აქტივები		13,597	37,734
მოთხოვნა გრძელვადიან სესხზე		1,184,253	-
გუდვილი		-	84,372
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,756,816**	**2,958,303**
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	48,256	17,941
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1,417,748	2,156,489
გაცემული სესხები		16,777	16,777
მარაგები	13	442,179	666,483
სულ მიმდინარე აქტივები		**1,924,960**	**2,857,690**
სულ აქტივები		**5,681,776**	**5,815,993**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		116,500	116,500
გადაფასების რეზერვი		59,000	
დაგროვილი მოგება/ზარალი		(192,379)	433,430
სულ კაპიტალი		**(16,879)**	**549,930**
გრძელვადიანი სესხები	14	3,491,717	4,088,341
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**3,491,717**	**4,088,341**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	1,381,570	930,900
საგადასახადო ვალდებულებები	16	199,358	7,413
მოკლევადიანი სესხები	14	626,010	239,409
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2,206,938**	**1,177,722**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**5,681,776**	**5,815,993**

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2021	**22,228**	**59,000**	**911,715**	**992,943**
კაპიტალის შემცირება მიმდინარე წლის განმავლობაში	94,272	-	-	94,272
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(255,595)	(255,595)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	-	(281,690)	(281,690)
31 დეკემბერი 2022	**116,500**	**59,000**	**374,430**	**549,930**
კაპიტალის ცვლილება მიმდინარე წლის განმავლობაში	-	-	(236,727)	(236,727)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(147,211)	(147,211)
გადაფაასების რეზერვი	-	-	-	-
მიმდინარე წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	-	(182,871)	(182,871)
31 დეკემბერი 2023	**116,500**	**59,000**	**(192,379)**	**(16,879)**

6-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილ

1. კორპორატიული ინფორმაცია

ჯორჯიან ქარდბოარდი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2009 წლის 9 ივლისს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205282816.

ძირითადი საქმიანობა. შპს "ჯორჯიან ქარდბოარდი"-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გოფრირებული მუყაოს ყუთების, შესაფუთი მასალების - დამზადება, რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია 0190, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი 106.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად ,,ჯგუფი"):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2023	2022
შპს კარაბოკი	გოფრირებული მუყაოს ყუთების, შესაფუთი მასალების - დამზადება,	100%	100%

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილებს ფლობდნენ შემდეგი ფიზიკური პირები: 1) სტეფანე თუმანიშვილი, (03001000200) - 55%. 2) ნიკა ლიპარტია, (19001013925) - 45%.

ინვესტიციები: საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი კომპანია: შპს კარაბოკი - 205005411

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2023 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. ჯგუფს ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-15
შენობები	40-50
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	5-10
კომპიუტერული ტექნიკა	3-10
მანქანა-დანადგარები	10-20
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	5-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, ჯგუფს არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს ჯგუფში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა ჯგუფისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად ჯგუფი აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების

განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპიროობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც

ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
  სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის

გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოადგენს ყუთებისა და შესაფუთი მასალის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს. აგრეთვე კომპანიის შემოსავლის მცირე ნაწილი შედგება იჯარისგან.

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ჯგუფის თვითღირებულების ხარჯი წარმოადგენს, რეალიზებულ საქონელის დამზადებაზე გაწეულ პირდაპირ და ზედნადებ დანახარჯს.

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(1,074,859)	(1,464,276)
ცვეთა და ამორტიზაცია	(298,300)	(283,609)
საკონსულტაციო ხარჯები	(15,000)	(30,068)
საგადასახადო ხარჯი	(25,841)	(28,478)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(318)	(2,592)
დაზღვევის ხარჯები	(47,441)	(40,179)
კომუნალური ხარჯები	(21,663)	(25,200)
საწვავის ხარჯები	(9,612)	(17,328)
საბანკო ხარჯები	(10,268)	(18,709)
კომუნიკაციის ხარჯები	(13,462)	(14,015)
ოფისი ხარჯები	(13,944)	(11,770)
დასუფთავების ხარჯები	(9,338)	(10,331)
კომპიუტერული/პროგრამული ხარჯები	(4,611)	(4,434)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(90,016)	(154,350)
სულ საერთ და ადმინისტრაციული ხარჯები	**(1,634,673)**	**(2,105,339)**

8. საპროცენტო ხარჯი

კომპანიის საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე სასესხო ვალდებულებებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

9. მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

	2023	2022
სასესხო ვალდებულებები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,610	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	(12,258)	226,567
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	**(2,648)**	**226,567**

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2021	2,422,311	211,216	1,553,199	22,405	62,727	196,680	46,409	4,515,539
შემოსვლა წლის განმავლობაში	10,763	-	3,814	212	2,133	5,907	280,306	302,542
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	2,433,074	211,216	1,557,013	22,617	64,860	202,587	326,715	4,818,081
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	21,333	-	-	132,757	1,271	155,361
გასვლა	(343,825)	(37,663)	-	(10,455)	(23,089)	(88,222)	(19,683)	(522,936)
31 დეკემბერი 2023	2,089,249	173,553	1,578,346	12,162	41,771	247,122	308,303	4,450,506
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი, 2021	(1,083,623)	(11,211)	(496,494)	(13,367)	(31,353)	(24,452)	(37,734)	(1,698,274)
წლის დარიცხული ცვეთა	(144,191)	-	(77,767)	(2,868)	(11,673)	(29,296)	(18,402)	(283,609)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(1,227,814)	(11,211)	(574,261)	(16,235)	(43,026)	(53,748)	(56,136)	(1,982,431)
წლის დარიცხული ცვეთა	(143,617)	-	(78,581)	(2,876)	(10,389)	(33,638)	(31,089)	(300,190)
გასვლები	336,796	-	-	10,454	23,601	-	20,229	391,080
31 დეკემბერი 2023	(1,034,635)	(11,211)	(652,842)	(8,657)	(29,814)	(87,386)	(66,996)	(1,891,541)
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2022	1,205,260	200,005	1,056,705	9,038	31,374	172,228	8,675	2,817,265
31 დეკემბერი 2023	1,054,614	162,342	925,505	3,505	11,957	159,736	241,307	2,558,966

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული სალაროში	19,601	838
ფული ბანკში	28,655	17,103
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**48,256**	**17,941**

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,166,704	963,097
მოკლევადიანი ავანსები	74,823	-
მისაღები პროცენტები	176,221	-
ავანსად და სესხად გაცემული თანხები		1,193,391
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,417,748**	**2,156,488**

13. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
წედლეული და მასალები	201,402	610,839
სხვა მასალები	179,076	-
მზა პროდუქცია	61,701	55,644
სულ მარაგები	**442,179**	**666,483**

14. მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებები შედგება სს თიბისი ბანკისგან , არაფინანსური ინსტიტუტებისგან და პარტნიორებისგან აღებული სესხებისგან.
წარმოდგენილი სასესხო ვალდებულება შედგება მხოლოდ სესხის ძირისგან.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	1,316,469	835,145
მიღებული ავანსები	40,751	95,755
გადასახდელი ხელფასები	8,115	-
გადასახდელი პროცენტები	16,235	-
ლიზინგის ვალდებულებები	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1,381,570**	**930,900**

16. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადოაქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.